ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქალაქი ქუთაისი

_____ _____ 2024 წელი

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2024 წლის 6 ნოემბრის №006102/18 წერილობითი მომართვით წარმოდგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 139-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 140-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. მიღებულ იქნეს ცნობად და საქართველოს სახელმძღვანელოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში.

(სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მართვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ ზემოხსენებულ ანგარიშში ჩამოყალიბებული რეკომენდაციის პრაქტიკულად განხორციელების მიზნით:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ:

ა) ცენტრალური ხელისუფლების უწყებებთან კორდინაციით, შეიმუშავოს ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და მისი ასახვა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ბ) ბიუჯეტის განწერისას დანერგოს დამატებითი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთების დაგროვების პრევენციას.

მუხლი 3. ზემოხსენებული ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ ეცნობოს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დააწესოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ბაქარ მახარაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია